

ფირმის ეკონომიკა (ბიზნეს ინჟინერინგი)
I სემესტრი. 2019-2020 წელი
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

Question 1

ტურისტული ფირმები არაა:

Select one:

- a. ტურისტული სააგენტო და ტურისტული კორპორაცია;
- b. ტურისტული კომპლექსი.
- c. ტუროპერატიული ფირმა და ტურისტული კორპორაცია;

Question 2

თავისი წილის გასხვისება კომანდიტს:

Select one:

- a. არ შეუძლია;
- b. შეუძლია სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე.
- c. შეუძლია სხვა პარტნიორების თანხმობისას;

Question 3

ბიზნესის გარემოს დასახასიათებლად გამოყენებული უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმებია:

Select one:

- a. ორივე პასუხი სწორია.
- b. გარემოს სტაბილურობა, ერთგვაროვნება და სიმდიდრე;
- c. გარემოს ერთგვაროვნება, სიმდიდრე და კონცენტრირება;

Question 4

კრედიტის ასაღებად საჭირო ბიზნეს-გეგმა უნდა მოიცავდეს:

Select one:

- a. პროექტის მიზანს, პროდუქციისა და მომსახურების დახასიათებას და მარკეტინგის გეგმას;
- b. ფირმის დახასიათებას, ბაზრის ანალიზსა და ფინანსურ გეგმას;
- c. ორივე პასუხი სწორია.

Question 5

სტატისტიკური კონკურენტუნარიანობის თეორია ბაზარს სწავლობს:

Select one:

- a. რაოდენობრივი ნიშნების მიხედვით;
- b. ორივე პასუხი სწორია.
- c. ხარისხობრივი ნიშნების მიხედვით;

Question 6

ბაზარზე შეღწევის სტრატეგია არ ითვალისწინებს:

Select one:

- a. ძველ ბაზარზე ახალი პროდუქციის შეტანას;
- b. ახალ ბაზარზე შეღწევას;
- c. ბაზრის არსებულ სეგმენტში სიახლის შეტანას.

Question 7

PR-ის მიზანია:

Select one:

- a. დარწმუნება;
- b. შთაგონება;
- c. სტიმულირება.

Question 8

ერთობლივი მეწარმეობა არ გულისხმობს:

Select one:

- a. შერეული საწარმოს შექმნას.
- b. პარტნიორის მიერ თავისი წილი სამუშაოს შესრულებას.
- c. ერთობლივი საწარმოს შექმნას.

Question 9

საპროექტო დაფინანსება არის პარტნიორული ურთიერთობა:

Select one:

- a. ვაჭრობის სფეროში.
- b. ფინანსურ სფეროში.
- c. წარმოების სფეროში.

Question 10

ხელშეკრულება არის:

Select one:

- a. უფლებებსა და მოვალეობებზე დაფუძნებული კონსენსუსი;
- b. უფლებათა დაფიქსირება, რომლებსაც მხარეები ანიჭებენ ერთმანეთს.
- c. ვალდებულებებით განმტკიცებული მხარეთა კომპრომისი;

Question 11

ყველა დანართი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, მოცემულია ხელშეკრულების:

Select one:

- a. პრეამბულაში.

- b. დასკვნით ნაწილში;
- c. ძირითად ნაწილში;

Question 12

საბრუნავი კაპიტალი ფირმაში მოიხმარება:

Select one:

- a. ერთი წლის განმავლობაში;
- b. ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- c. ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

Question 13

მსოფლიო საადრიცხო პრაქტიკაში გავრცელებულია ამორტიზაციის განსაზღვრის:

Select one:

- a. 3 მეთოდი;
- b. 2 მეთოდი;
- c. 4 მეთოდი.

Question 14

საწარმოში დასაქმებულ მუშებს მიეკუთვნებიან:

Select one:

- a. საწარმოო და ტექნოლოგიური მუშები.
- b. ძირითადი და დამხმარე მუშები;
- c. საწარმოო და არასაწარმოო მუშები;

Question 15

რეალური ხელფასი ასახავს:

Select one:

- a. ნომინალური ხელფასის ფაქტიურ მსყიდველობითუნარიანობას;
- b. შესრულებული სამუშაოსათვის გადახდილ ფულს;
- c. გარკვეულ პერიოდში გაწეული შრომისათვის აღებულ თანხას;

Question 16

ფირმის მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციებია:

Select one:

- a. დანერგვა, უზრუნველყოფა და სტიმულირება.
- b. დანერგვა, ორგანიზება, მოტივირება და კონტროლი;
- c. დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივირება და კონტროლი;

Question 17

თუ მობილური სატელეფონო კავშირების ხარჯები ცვალებადია, ხოლო სააბონენტო გადასახადი მუდმივი, მაშინ დანახარჯები:

Select one:

- a. მერყევია.
- b. ნაწილობრივ ცვალებადია;
- c. ნაწილობრივ მუდმივია;

Question 18

აქტივების რენტაბელობის გაანგარიშების ფორმულაში მნიშვნელოვანი არის:

Select one:

- a. მიმდინარე ან წმინდა აქტივები;
- b. ერთობლივი ან წმინდა აქტივები;
- c. ორივე პასუხი სწორია.

Question 19

არასტაბილური ქვეყნის ფასიან ქაღალდებში დაბანდებული ინვესტიციების დანაკარგების რისკი ეკუთვნის:

Select one:

- a. საქვეყნო რისკს.
- b. ფინანსურ რისკს;
- c. ინვესტიციურ რისკს;

Question 20

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი:

Select one:

- a. მოიცავს ხელფასის სახით მიღებულ მხოლოდ იმ შემოსავლებს, რომლებიც არ უკავშირდება დაქირავებით მუშაობას.
- b. არ მოიცავს ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს;
- c. მოიცავს ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს;